საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-36/ნ
2014 წლის 13 ივნისი

ქ. თბილისი

,,დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის №87/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 20 თებერვლის №87/ნ ბრძანებით დამტკიცებულ დანართ 1-ში (დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-6 მუხლის 1^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1^1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურისათვის გასაცემი დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №238 დადგენილებით დამტკიცებული დებულების XVI თავის მე-9 პუნქტის ,,გ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფულადი სარგო და დანამატები, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთათვის გასაცემი დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობის გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს მათი ფულადი სარგო და დანამატები.“.

2. **მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^4 პუნქტი:**

,,1^4. საქართველოს დაზვერვის სამსახურის მომსამსახურეთათვის გასაცემი შრომისუუნარობის გამო დახმარების გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს მისი ხელფასი და დანამატები.“.

3. **მე-6 მუხლის:**

ა) **მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,2. დროებითი შრომისუუნარობის პერიოდში გაანგარიშების ბაზის შეცვლის შემთხვევაში, დახმარების ოდენობის გაანგარიშება გაანგარიშების ბაზის შეცვლილ პერიოდზე ხდება გაანგარიშების ძველი ბაზის მიხედვით, ხოლო გაანგარიშების ბაზის შეცვლის დღიდან გაანგარიშების ახალი ბაზის მიხედვით.“;

ბ) **მე-7 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,ბ) ზეგანაკვეთური ანაზღაურება და დანამატები (ამ მუხლის 1^1, 1^3 და 1^4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა);“.

4. **მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის:**

ა) **8^2 პუნქტი:**

,,8^2. საქართველოს დაზვერვის სამსახურის სამხედრო ან/და სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეთათვის დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების საერთო თანხა განისაზღვრება შეჯამებულად საავადმყოფო ფურცელში მითითებულ თვეში (ყოველ თვეზე ცალ-ცალკე) დღიური ხელფასისა და დანამატების გამრავლებით მოცემულ თვეში შრომისუუნარობის გამო გაცდენილ კალენდარულ დღეთა რიცხვზე.“;

ბ) **9^2 პუნქტი:**

,,9^2. ამ მუხლის 8^2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დღიური ხელფასისა და დანამატების გამოთვლა ხდება თვიური შრომის ანაზღაურების (ხელფასი და დანამატები) გაყოფით შრომისუუნარობის თვის (ყოველ თვეზე ცალ-ცალკე) კალენდარულ დღეთა რიცხვზე.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო**